

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო



პენსიების ინდექსირება

აპრილი, 2021


პენსიების ინდექსირება

2020 წლის ივლისში პარლამენტმა დაამტკიცა სახელმწიფო პენიის ინდექსაციის წესი. სახელმწიფო პენსიის ინდექსირება წარმოადგენს საპენსიო სისტემის რეფორმირების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს. საპენსიო სისტემის რეფორმირება 2019 წელს დაიწყო, როდესაც ძალაში შევიდა დაგროვებითი პენსიის შესახებ კანონი.

საპენსიო სისტემის რეფორმირება ორი გამრეშოებით იყო მოტივირებული. პირველი, ესაა მოსახლეობის დაბერების პროცესი, რაც ფინანსთა სამინისტროს დემოგრაფიული მოდელის პროგნოზებით მზარდი ტენდენციის იქნება მომდევნო ორ ათწლეულში. დაბერების პროცესი აისახება ერთი მხრივ საპენსიო ასაკის მოსახლეობის ზრდაში, ხოლო მეორე მხრივ სამუშაო ძალის შემცირებაში.

საპენსიო რეფორმის აუცილებლობის მეორე მნიშვნელოვანი გარემოება არის სუსტი სასტატო პირობები. 2020 წელს საშუალო ხელფასი შეადგენდა 1,227 ლარს, ხოლო წლის დასაწყისისთვის სახელმწიფო პენსია 220 ლარი იყო. შესაბამისად ჩანაცვლების კოეფიციენტი 17.9 პროცენტს შეადგენდა, რაც ერთ-ერთი დაბალია მსოფლიოში.

დიაგრამა 1: დემოგრაფიული პროგნოზი. წყარო: ფინანსთა სამინისტროს განგარიშება.




დემოგრაფიული პროგნოზიდან გამოვლინარე, ჩანაცვლების კოეფიციენტის არათუ ზრდა, არამედ არსებულ დონეზე შენუარჩუნებაც კი, არსებული საპენსიო სისტემით შეუძლებელი იყო, ვინაიდან იმატებს პენსიის მიმღებთა, ხოლო იკლებს ბიუჯეტში გადასახადის გადამხდელთა რაოდენობა.

მოსახლეობის დაბერების პრობლემას მსოფლიომ დაგროვებითი საპენსიო პილარის შემოღებით უპასუხა. საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების საფუძველზე შემუშავებულ იქნა დაგროვებით საპენსიო სქემა საქართველოშიც. დაგროვებითი საპენსიო სისტემის შემოღების პირდაპირი და არაპირდაპირი ეფექტები შეფასებულია რეგულირების გავლენის შეფასებაში, რაც ხელმისაწვდომია ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე.

ძლიერი პირველი სვეტის გარეშე წარმოუდგენელია წარმატებული მეორე და მესამე პილარების შემოღება. აქედან გამომდინარე შემუშავებულ იქნა ინდექსირების წესი სახელმწიფო პენსიისათვის. ინდექსირების წესის მთავარი მიზანია:

1. მაქსიმალურად შეინარჩუნოს ჩანაცვლების კოეფიციენტი;
2. შეინარჩუნოს ფისკალური მდგრადობა საპენსიო ხარჯების სტაბილიზაციის გზით;
3. გამორიცხოს პენსიის ცვლილების შესახებ ფისკალურად არამდგრადი გადაწყვეტილებების მიღება და ამით შეამციროს ფისკალური რისკები.

დიაგრამა 2: საპენსიო ხარჯების შეფარდება მშპ-სთან. წყარო: ფინანსთა სამინისტროს გაანგარიშება.



ამ გარემოებების გათვალისწინებითა და საერთაშორისო სავალუტო ფონდთან დეტალური კონსულტაციების შედეგად შეჯერებულ იქნება შემდეგი გადაწყვეტილება:

- 70 წლამდე პენსიონერთათვის პენსია ყოველწლიურად გაიზრდება ინფლაციის ოდენობით, მინიმუმ 20 ლარით;
- 70 და უფროსი ასაკის პენსიონერთათვის პენსია ყოველწლიურად გაიზრდება ინფლაციისა და ეკონომიკური ზრდის 80 პროცენტის ოდენობით, მინიმუმ 25 ლარით;
- თითოეულ შემთხვევაში პენსია დამრგვალდება 5 ლარის სიზუსტით ზემოთ.

აღნიშნული სქემის შესაბამისად, საპენსიო ხარჯები შენარჩუნებულია სტაბილურად და არ აღემატება მშპ-ს 5.2 პროცენტს გრძელვადიან პერიოდში.

